დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 51 08
25/12/2018

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა.

მუხლი 3

განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამეურნეო დანიშნულებით დამუშავების პროცესის წახალისება და მოქალაქეთა ხელშეწყობა.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი

1. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფია (შემდგომში „ბენეფიციარი“) დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი, რომლის სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000 (სამოცდახუთი ათასი) და რომელსაც დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე აქვს (ფაქტობრივი ფლობა, საკუთრება) დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. პროგრამის ბენეფიციარებს განსაზღვრავს მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მერი ან მის მიერ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურველი პირი.

მუხლი 3. პროგრამის ფარგლები და დაფინანსების წყარო

1. ბენეფიციარი მიმდინარე წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს მოთხოვნის შესაბამისად, არანაკლებ 0,05 ჰა და არაუმეტეს 0,5 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამუშავებისას.

2. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ააიპ დმანისის „კომუნალური სამსახური“-სათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

3. ამ პროგრამის ბენეფიციარისათვის მომსახურება არის უფასო.

მუხლი 4. პროგრამის შესრულების ვადები

1. პროგრამა დაიწყება 2019 წელს და განხორციელდება მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში.

2. პროგრამის აღსრულებას მერის დავალების საფუძველზე ახორციელებს ააიპ დმანისის „კომუნალური სამსახური“ (შემდგომში „აღმსრულებელი“).

მუხლი 5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებული პირის ზეპირი მიმართვის საფუძველზე მერის წარმომადგენელი აღმსრულებელს აწვდის ინფორმაციას სადაც აღნიშნული უნდა იქნას დაინტერესებული პირის ვინაობა, დასამუშავებელი მიწის ფართი და ფლობის ფორმა, ასევე განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. აღმსრულებელი გასცემს ცნობას, რომელიც უნდა წარედგინოს ადგილზე შემსრულებელს (მერის მიერ განსაზღვრული პირი) და მომსახურების გაწევა უნდა დადასტურდეს ადგილზე შემსრულებლის და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ინახება აღმსრულებელთან.